ინფორმაცია 2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნებში მონაწილე კვალიფიციური საარჩევნო სუბიექტებისთვის

„მაუწყებელთა ქცევის კოდექსის“ 23-ე მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, მაუწყებელი ვალდებულია საკუთარ ვებგვერდზე გამოაქვეყნოს წინასაარჩევნო რეკლამის განაწილების წესები, აგრეთვე წინასაარჩევნო რეკლამის ეთერში გაშვების პირობები, ტექნიკური სტანდარტები და სხვა შესაბამისი ინფორმაცია.

ტელეკომპანია „მთავარი არხი“ 2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნებში მონაწილე კვალიფიციური საარჩევნო სუბიექტებისთვის აქვეყნებს წინასაარჩევნო რეკლამისთვის გამოყოფილი საეთერო დროის ათვისებასთან დაკავშირებით შემდეგ ინფორმაციას:

1. <u>უფასო წინასაარჩევნო რეკლამა</u>

2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნებისათვის კვალიფიციური საარჩევნო სუბიექტებისთვის <u>უფასო საეთერო დრო</u> განაწილდება საქართველოს ორგანული კანონის „საარჩევნო კოდექსის“ შესაბამისად:

- საარჩევნო კამპანიის მიმდინარეობისას არჩევნების დღემდე 50-ე დღიდან, მაუწყებელი თავის ეთერში ყოველ 3 საათში 7,5 წუთს გამოყოფს წინასაარჩევნო რეკლამის უსასყიდლოდ განსათავსებლად და თანაბრად და არადისკრიმინაციულად განათავსებს თითოეული კვალიფიციური საარჩევნო სუბიექტის მიერ მისთვის წარდგენილ წინასაარჩევნო რეკლამას, იმ პირობით, რომ ამ პერიოდში ერთი საარჩევნო სუბიექტისათვის გამოყოფილი სარეკლამო დრო 90 წამს არ აღემატებოდეს (საარჩევნო სუბიექტს შეუძლია ეს დრო რამდენიმე ნაწილად დაყოს). არ შეიძლება საარჩევნო სუბიექტის მიერ გამოუყენებელი დროის შემდგომ დამატება მისი კუთვნილი სხვა დროისათვის („საარჩევნო კოდექსის“ მუხლი 51.6 და მუხლი 186.5)

- კანონით გათვალისწინებული ვალდებულებები საეთერო დროის თანაბრად განაწილების, დებატებში მონაწილეობისას ერთნაირი პირობების შექმნისა და საარჩევნო რეკლამისათვის თანაბარი პირობების დადგენის შესახებ ვრცელდება <u>მხოლოდ</u> კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტებთან მიმართებით (საარჩევნო კოდექსის“ მუხლი 51.3 და მუხლი 186.3)

2. <u>ფასიანი წინასაარჩევნო რეკლამა:</u>

- ტელეკომპანიის მიერ 1 დღის განმავლობაში გამოყოფილი ფასიანი დრო არ უნდა აღემატებოდეს მისი დღიური მაუწყებლობის საერთო მოცულობის 15 პროცენტს (216წთ.) და არცერთ საარჩევნო სუბიექტს არ უნდა დაეთმოს ამ დროის ერთ მესამედზე მეტი (72 წთ). ფასიანი დროის ტარიფი ყველა საარჩევნო სუბიექტისათვის ერთნაირი უნდა იყოს. („საარჩევნო კოდექსის“ მუხლი 50.1.ბ).

- „მთავარი არხის“ ეთერში ფასიანი წინასაარჩევნო რეკლამის განთავსების მსურველმა საარჩევნო სუბიექტმა უნდა მიმართოს შპს „მთავარ არხს“ (ს/კ: 404574518)“, განთავსების სასურველ თარიღამდე 5 სამუშაო დღით ადრე. ფასიანი პოლიტიკური/წინასაარჩევნო რეკლამის განსათავსებლად უნდა მიმართონ:
  ლიკა მეტრეველი; ელ.ფოსტა: metreveli.legal@gmail.com

- ფასიანი რეკლამისთვის დადგენილი ტარიფები გამოქვეყნდება „მთავარი არხის“ ვებგვერდზე https://mtavari.tv/ (კატეგორიაში „არჩევნები 2024“).

- **მნიშვნელოვანი ინფორმაცია:** 2016 წლის 5 მაისს გამოცემული ”სახელმწიფო აუდიტის სამსახურის გენერალური აუდიტორის ბრძანების №2915/21 საფუძველზე (რომელიც ძალაშია 2024 წლის 26 ოქტომბრისთვისაც) წინასაარჩევნო რეკლამის განთავსებისათვის თანხის გადახდის **სავალდებულო ფორმად** განსაზღვრულია წინასწარი უნაღდო/საბანკო ანგარიშსწორება. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის გენერალური აუდიტორის ბრძანება №2915/21 შეგიძლიათ იხილოთ საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ოფიციალურ ვებგვერდზე: https://matsne.gov.ge/ka/document/view/3276164

  https://sao.ge/ka/%E1%83%AB%E1%83%94%E1%83%91%E1%83%9C%E1%83%90?Text=%E2%84%962915%2F21+&ncformfield=&__ncforminfo=k7ya3Ho9qP3bUNqF6DWtsWhq8fSNXbyVCetYDdabuT3qYAWSkqfoufI59KA4mPbL21tLuPjidh0%3D

- ფასიან წინასაარჩევნო რეკლამის განთავსებასთან დაკავშირებით დაინტერესებულმა სუბიექტებმა უნდა მიმართონ შემდეგ საკონტაქტო პირებს:

  დიტო საძაგლიშვილი; ელ.ფოსტა: ditosadzaglishvili@gmail.com
  თამთა მურადაშვილი; ელ.ფოსტა: tamta.muradashvili@gmail.com
  ლიკა მეტრეველი; ელ.ფოსტა: metreveli.legal@gmail.com

  ტელ: 2 96 96 20

3. წინასაარჩევნო რეკლამის (ფასიანი და უფასო) ეთერში გაშვების პირობები:

- პოლიტიკური/წინასაარჩევნო რეკლამის გამოქვეყნებისას კადრის კუთხეში უნდა იყოს წარწერა „ფასიანი პოლიტიკური რეკლამა“ ან „უფასო პოლიტიკური რეკლამა“. ასეთ რეკლამას **უნდა ჰქონდეს** სურდოთარგმანი, რომლის უზრუნველყოფაც რეკლამის წარმდგენი საარჩევნო სუბიექტის ვალდებულებაა („საარჩევნო კოდექსის“ მუხლი 50.1.გ.). თუ კლიპში გამოყენებულია მუსიკა, სურდოთარგმანის მიზნებისთვის მუსიკის ტექსტიც უნდა იყოს ადაპტირებული.
- დაუშვებელია ერთი საარჩევნო სუბიექტის მიერ სარეკლამო დროის ფარგლებში მაუწყებლის ეთერში ისეთი სარეკლამო რგოლის განთავსება, რომელიც სხვა საარჩევნო სუბიექტის სააგიტაციო მიზნებს ემსახურება. საარჩევნო სუბიექტის რეკლამა არ უნდა შეიცავდეს სხვა საარჩევნო სუბიექტის არჩევისათვის ხელის შემწყობი რეკლამის ელემენტებს, მათ შორის, მის წარმომადგენელს, რიგით ნომერსა და სიმბოლიკას („საარჩევნო კოდექსის“ მუხლი 186.18)

- პოლიტიკური/წინასაარჩევნო რეკლამის მიმდინარეობისას საარჩევნო სუბიექტის სახელწოდების აღმნიშვნელი ასოების ერთიანი კონტურებისა და მისი არჩევნებში მონაწილეობის რიგითი ნომრის აღმნიშვნელი ციფრების ერთიანი კონტურების ჯამი **<u>უნდა იკავებდეს კადრის ფართობის არანაკლებ 10%-ს.</u>** ამასთანავე, **<u>რეკლამა ისე უნდა იყოს დამზადებული, რომ მისი დასრულებისას, არანაკლებ ბოლო 1 წამის განმავლობაში ნაჩვენები იყოს საარჩევნო სუბიექტის სახელწოდება და რიგითი ნომერი, იმგვარად, რომ სახელწოდების აღმნიშვნელი ასოების ერთიანი კონტურებისა და რიგითი ნომრის აღმნიშვნელი ციფრების ერთიანი კონტურების ჯამი იკავებდეს კადრის ფართობის არანაკლებ 50%-ს.</u>** ამ პუნქტით დადგენილი წესის დარღვევის შემთხვევაში მაუწყებელი არ განათავსებს შესაბამის პოლიტიკურ/წინასაარჩევნო რეკლამას („საარჩევნო კოდექსის“ მუხლი **186.19.**
- მაუწყებლისადმი მომმართველ კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტებს მიეცემათ საშუალება მიიღონ კანონმდებლობით გათვალისწინებული კუთვნილი დრო წინასაარჩევნო რეკლამისათვის, რომელიც გადანაწილდება მომართვის დროისთვის მომმართველ კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტთა შორის თანაბარი გადანაწილების პრინციპით, შესაბამისი ხანგრძლივობებით და განთავსდება „მთავარი არხის“ საეთერო დროის ფარგლებში გამოყოფილ შესაბამის დროით ინტერვალებში/ბლოკებში. მომმართველ კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტთა წინასაარჩევნო რეკლამის ეთერში განთავსების რიგითობის განსაზღვრისას მაუწყებელი იხელმძღვანელებს მომართვიანობის შესაბამისად.
- **<u>აკრძალულია</u>** ისეთი რეკლამის გავრცელება, რომელიც ახდენს პირის ან პირთა ჯგუფის მიმართ შეზღუდული შესაძლებლობის, ეთნიკური, სოციალური წარმომავლობის, გენდერის, სქესის, გენდერული მიკუთვნების, ეროვნების, რასის, რელიგიის ან რწმენის, სექსუალური ორიენტაციის, კანის ფერის, გენეტიკური მახასიათებლების, ენის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულების, ეროვნული უმცირესობის წევრობის, ქონების, დაბადების ადგილის ან ასაკის ნიშნის მიხედვით ძალადობის ან სიძულვილის წაქეზებას (სიძულვილის ენა).
- საარჩევნო პროგრამა **<u>არ უნდა შეიცავდეს</u>** ომისა და ძალადობის პროპაგანდას, არსებული სახელმწიფო და საზოგადოებრივი წყობილების ძალადობით შეცვლისკენ ან დამხობისკენ, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დარღვევისკენ, ეროვნული შუღლისა და მტრობისკენ, რელიგიური და ეთნიკური დაპირისპირებისკენ მოწოდებას.
- რეკლამა **<u>არ უნდა უბიძგებდეს</u>** მოქალაქეებს ძალადობის, აგრესიისა და ქაოსისაკენ, არ უნდა მოუწოდებდეს მათ საშიში ქმედებისაკენ, რომელსაც შეუძლია ზიანი მიაყენოს ადამიანის ჯანმრთელობას ან დაემუქროს მის უსაფრთხოებას.
- კვალიფიციური საარჩევნო სუბიექტის წინასაარჩევნო სარეკლამო მასალა აგრეთვე არ უნდა შეიცავდეს არაეთიკურ, უცენზურო და შეურაცხმყოფელ სიტყვებს.
- „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 63-ე მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე, **მაუწყებელი პასუხს არ აგებს წინასაარჩევნო რეკლამის შინაარსზე,** წინასაარჩევნო რეკლამის შინაარსზე პასუხისმგებლობა კანონმდებლობით დადგენილი წესით ეკისრება რეკლამის დამკვეთს. თუმცა, კანონსაწინააღმდეგო შინაარსის მქონე რეკლამის განთავსებისათვის/გავრცელებისთვის პასუხისმგებლობის თავიდან აცილებისა და კანონით გათვალისწინებული ვალდებულების დაცვის მიზნით, მაუწყებელი უფლებამოსილი იქნება არ გაუშვას საარჩევნო სუბიექტის

რეკლამა, სანამ არ აღმოიფხვრება კანონთან შეუსაბამობა. მაუწყებელი უფლებამოსილია ამგვარი საკითხის გადაწყვეტისთვის მიმართოს საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას.

- <u>კვალიფიციურმა სუბიექტებმა უნდა გაითვალისწინონ, რომ იმ შემთხვევაში, თუ მაუწყებლისთვის მიწოდებული წინასაარჩევნო რეკლამა არ დააკმაყოფილებს ზემოაღნიშნულ მოთხოვნებს, მაუწყებელი მოკლებული იქნება შესაძლებლობას განათავსოს ხარვეზიანი/კანონთან შეუსაბამო რეკლამა ამგვარი ხარვეზის/დარღვევის აღმოფხვრამდე.</u>

4. <u>ტექნიკური სტანდარტები</u>

კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტს, რომელიც გეგმავს უფასო რეკლამის განთავსებას ტელეკომპანია „მთავარი არხის“ ეთერში, <u>**მივმართავთ რეკომენდაციით:**</u> იმისათვის, რომ თითოეული მომმართველი კვალიფიციური საარჩევნო სუბიექტის სარეკლამო ბადე დაიგეგმოს მათი ინტერესებისა და უფლებების დაცვით, კანონით დადგენილი ნორმების შესაბამისად, მომმართველმა კვალიფიციურმა საარჩევნო სუბიექტმა უნდა გაითვალისწინოს შემდეგი პირობები:

- წინასაარჩევნო უფასო რეკლამის განსათავსებლად სარეკლამო რგოლი უნდა იყოს წარმოდგენილი შემდეგ ელექტრონულ ფოსტაზე: ditosadzaglishvili@gmail.com, metreveli.legal@gmail.com, tamta.muradashvili@gmail.com რათა წინასწარ შემოწმდეს წარმოდგენილი მასალის შინაარსისა და სხვა მოთხოვნების შესაბამისობა კანონმდებლობასთან.

- უფასო წინასაარჩევნო მასალას თან უნდა ახლდეს მასალის წარმომდგენი პარტიის წერილი/მიმართვა არხისადმი, დაბეჭდილი პარტიის ტიტულოვან (ე.წ „ბლანკიან”) ქაღალდზე, დადასტურებული უფლებამოსილი პირის ხელმოწერით. გთხოვთ, წერილში მიუთითოთ საკონტაქტო პირის ვინაობა და ნომერი, რათა არხმა შეძლოს დროულად დაკავშირება.

- **მასალა უნდა იყოს მოწოდებული სამუშაო დღეებში, ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით, დღის 12:00 საათამდე,** შემდეგ ელექტრონული ფოსტის მისამართებზე: ditosadzaglishvili@gmail.com, metreveli.legal@gmail.com და tamta.muradashvili@gmail.com

- <u>ეთერისთვის სარეკლამო მასალა უნდა იყოს იყოს შემდეგი ფორმატისა და ტექნიკური პარამეტრების:</u>
  <u>Format: MXF</u>
  <u>Preset: XDCAM HD 50 PAL 50i</u>
  <u>Source: 1920x1080 (1.0) 25fps 48000Hz, stereo 24 bit</u>

- იმ შემთხვევაში, თუ პოლიტიკური სუბიექტი წარმოადგენს რამდენიმე სახის წინასაარჩევნო კლიპს, სუბიექტი ვალდებულია მიუთითოს ამ კლიპის ან/და

კლიპების (რამდენიმე კლიპის არსებობის შემთხვევაში) განთავსების მისთვის სასურველი ქრონოლოგია/რიგითობა და განთავსების პერიოდი.

- **<u>წინასაარჩევნო კლიპების ეთერში განთავსება ხდება სპეციალური საეთერო კომპიუტერული პროგრამის/სისტემის (soft) საშუალებით, რომელიც არის ავტომატიზირებული და იხურება ყოველ პარასკევ დღეს მომდევნო სამშაბათის ჩათვლით. შესაბამისად, საარჩევნო სუბიექტებმა უნდა გაითვალისწინონ, რომ თუ კლიპი/კლიპები წარმოდგენილი იქნება პარასკევ დღეს 12:00 საათის შემდეგ, შესაძლოა მისი ეთერში განთავსება ვერ მოესწროს მომდევნო ოთხშაბათამდე.</u>**

- გასათვალისწინებელია, რომ სუბიექტებისთვის გამოყოფილი დრო უფასო წინასაარჩევნო რეკლამისთვის (ყოველ 3 საათში 7.5 წუთი მაგრამ არა უმეტეს 90 წამი ერთ სუბიექტზე) გადანაწილდება თანაბრად და არადისკრიმინაციულად. შესაბამისად, თითოეულ მომმართველ სუბიექტს დაეთმობა მომართვის დროის მომენტისთვის არსებული რესურსის შესაბამისი დრო, მომმართველი სუბიექტების რაოდენობის მიხედვით. ვინაიდან მთლიანი დრო (7.5 წუთი) უნდა დაიყოს თანაბრად და არადისკრიმინაციულად, შესაძლოა მომმართველმა სუბიექტებმა ვერ აითვისონ სრული 90 წამი. შესაბამისად, არხი <u>რეკომენდაციას აძლევს</u> საარჩევნო სუბიექტებს, რომ მათი კუთვნილი დროის მაქსიმალურად ეფექტურად ათვისების მიზნით, წარმოადგინონ ისეთი ქრონომეტრაჟის კლიპები რომელიც ადვილად იქნება ათვისებადი მოცემული მომენტისთვის არსებული რესურსის ფარგლებში (მაგალითად, 5, 10, 15, 20, 25, 30, 35, 40, 45 და ა.შ).

- იმ შემთხვევაში, თუ მომართვის პერიოდისთვის სუბიექტებისთვის აღარ არსებობს სრულად ათვისებადი 90 წამიანი რესურსი და დარჩენილია გამოსაყენებელი, მაგალითად, 65 წამიანი დრო და სუბიექტს წარმოდგენილი აქვს, მაგალითად, 70 წამიანი კლიპი, სუბიექტმა უნდა უზრუნველყოფს შესაბამისი ქრონომეტრაჟის კლიპის წარმოდგენა, წინააღმდეგ შემთხვევაში არხი ვერ შეძლებს სუბიექტისთვის განკუთვნილ დროზე (მოცემულ მაგალითში 65 წამი) მეტი ქრონომეტრაჟის კლიპის განთავსებას.

5. სხვა ინფორმაცია:

- წინასაარჩევნო რეკლამასთან დაკავშირებით დამატებითი ინფორმაციისათვის გთხოვთ დაგვიკავშირდეთ:

  ტელ: 2 96 96 20;

  საკონტაქტო პირები:

  დიტო საძაგლიშვილი: ditosadzaglishvili@gmail.com;
  თამთა მურადაშვილი: tamta.muradashvili@gmail.com;
  ლიკა მეტრეველი: metreveli.legal@gmail.com;

- არჩევნებთან დაკავშირებული კანონმდებლობით გათვალისწინებული და სხვა დამატებითი ინფორმაცია ერთკვირიანი პერიოდულობით განახლდება და გამოქვეყნდება მთავარი არხის ვებგვერდზე, https://mtavari.tv/, სექტორში/ბანერზე „არჩევნები 2024“. რეკომენდირებულია პოლიტიკურმა სუბიექტებმა ყოველკვირეულად ადევნონ თვალი გამოქვეყნებულ ინფორმაციას.